ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7071291

ნომერი: AR11036204

თარიღი : 21.05.2024

გაცემის თარიღი : 07.06.2024

გაცნობის თარიღი : 14.06.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკი ხასია პ/ნ 58001003802
- თბილისი III მასივი IX კვ. კორ. 5 ბ. 37

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს ,,კემხელი" კოდი: 249263327

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
სამსახური არ არის წინააღმდეგი, რომ განახორციელოთ საკადასტრო რუკის მხიედვით შენობა 4/1-ის დემონტაჟი მისი კანონიერების შემთხვევაში . აღნიშნულისათვის დაგჭირდებათ არსებული შენობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა (მისი არსებობის შემთხვევაში) . კანონიერების დოკუმენტაციის არ არსებობის შემთხვევაში დემონტაჟისათვის უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას.

არსებული შენობის კანონიერების შემთხვევაში იმისათვის რომ სამსახურმა დაადგინოს სადემონტაჟო შენობის კლასი, საჭიროა დაიტანთ არსებული შენობის გაბარიტული ზომები და სიმაღლის ნიშნულები;

-საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.